
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა


დ. აღმაშენებლის გამზ. №96
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კომერციულ ფართში დაგეგმილი მცირე სარეაბილიტაციო პროექტისათვის



თბილისი
2025, აპრილი


დ. აღმაშენებლის გამზ. №96 რეგისტრირებულია როგორც კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებული ძეგლი. ამდენად, მის ფასადზე და ინტერიერებში ცვლილების განხორციელება უნდა დაექვემდებაროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონის მოთხოვნებს.

დ. აღმაშენებლის გამზ. №96 ყოფილი მიხეილის გამზირის ინტენსიური განაშენიანების შემადგენელია. ეს ნაგებობა XIX ს-ისა და XX ს-ის მიჯნის თბილისური ამპირის ტიპიური ნიმუშია. ქალაქის უკანასკნელი რეაბილიტაციის ფარგლებში მისი ფასდი განახლდა, ისევე, როგორც მის გვერდით არსებული სხვა ძეგლების ფასადები.



საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად, მიხეილის გამზირის სამხრეთი მხარე XIX ს-ის შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (ახ. დ. უზნაძის) და კერძოდ, მიხეილის გამზირზე.

XVIII ს. ტერიტორია, რომელზედაც დღეს შენობა მდებარეობს, ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა, სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის).



ამ მიწების აქტიური ათვისება მხოლოდ 1818 წლიდან, გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. სწორედ გერმანელება კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის გამზირი ვერის ხიდის (ახ. გ. ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად იყო გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის) ვარდების (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით.



არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის გამზირზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალ. ზალცმანის კათოლიკური ეკლესია, სასტუმრო "ვეტცელი" – არქ. ბილფელდი, კინოთეატრი "აპოლო", მარჯანიშვილის სახ. თეატრი ყოფილი "სახალხო სახლი" რეალური სასწავლებელი - უშ. ჩხეიძის ქუჩაზე და სხვა ძალზედ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია.





საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად მიხეილის გამზირის სამხრეთი მხარე XIXს. შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (ახ. დ. უზნაძის) და კერძოდ, მიხეილის გამზირზე.



არსებობდა გერმანული კოლონიის პერსპექტიული განვითარების გეგმა, რომელიც თბილისში მტკვრის მარცხენა მხარეზე გერმანული დასახლების განვითარების სურვილს ასახავდა.

ნოი ტიფლისის, იგივე ახალი თბილისის კოლონია, სოფელ კუკიის ტერიტორიაზე დაარსდა, რაც დღეს დ. აღმაშენებლის გამზირსა და მის პარალელურ ქუჩებს ემთხვევა. ალექსანდერსდორფელი გერმანელებისგან განსხვავებით, აქ ხელოსნები დასახლდნენ და მათ მხოლოდ საკარმიდამო მიწები დაურიგეს. ნოი ტიფლისის გერმანელები სხვადასხვა ატელიეებს და სახელოსნოებს ხსნიდნენ. მაგალითად, მე-19 საუკუნის ბოლოს მეიერების ოჯახი დღევანდელი დ. აღმაშენებლის გამზირზე სარიტუალო მომსახურების ბიზნესს ფლობდა. როგორც ცნობილია, ოჯახი თავად ამზადებდა სარიტუალო აქსესუარებს და შენობის პირველ სართულზე, მაღაზიაში ჰყიდდა. ისინი ასევე ფლობდნენ აფთიაქსა და სავაჭრო სახლსაც.



არქიტექტურული თვალსაზრისით, ნოი ტიფლისისა და ალექსანდერსდორფის სახლების სტილი ერთი იყო. ორივე დასახლებაში გავრცელებული იყო ერთსართულიანი სახლები მაღალი სახურავებით, რომელშიც ფართო სხვენი იყო მოთავსებული.



ახალი თბილისის დასახლებაში სახლებს ბაღები ერტყა, სადაც ხეხილს, ვენახსა და ყვავილებს ახარებდნენ. ორ რიგად განლაგებულ ერთსართულიან სახლებს შორის ფართო გზა გადიოდა, რომელთაგან მთავარი კუკიის გზა იყო. მას 1899 წლიდან მიხეილის გამზირი ეწოდა. ერთმანეთის პარალელური რიგები მცირე მონაკვეთებით იყო შეერთებული. უბნის დღევანდელი ქუჩათა ქსელი ზედმიწევნით ზუსტად მიჰყვება გერმანელი კოლონისტების ბაღების მოხაზულობას.

იმპერატორის მხრიდან მხარდაჭერის მიუხედავად, პირველ წლებში კოლონისტები მძიმე სოციალურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ – უჭირდათ აქაურ კლიმატთან შეგუება, ებრძოდნენ ეპიდემიასა და მოუსავლიანობას.

შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა ხელისუფლებამ და მიუხედავად შეპირებული რწმენის თავისუფლების გარანტიებისა, რელიგიური პოლიტიკა შეცვალა.

იმპერიისა და გერმანული თემის დაფინანსებით, 1894 წელს ნოი ტიფლისის დასახლებაში, დღევანდელი მარჯანიშვილის მოედანზე, წმინდა პეტრესა და პავლეს ლუთერული ტაძრის მშენებლობა დაიწყო. სამი წლის შემდეგ ის საზეიმოდ გაიხსნა და პასტორად რიჰარდ მეიერი აკურთხეს. ნეოგოთიკური სტილის ტაძრის პროექტი გერმანელ არქიტექტორს, ლეოპოლდ ბილფელდს ეკუთვნოდა. აღსანიშნავია, რომ მისივე აგებულია თბილისის ქაშვეთის ეკლესია. სწორედ "კირხედან" მოდის მარჯანიშვილის ქუჩის ძველი სახელწოდება "კიროჩნაია".



მეორე სამამულო ომის დაწყების წინ, თბილისის გერმანული კოლონია სტალინის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. გერმანლები მასიურად გადაასახლეს ციმბირისა და ყაზახეთის დაუსახლებელი ადგილებში, ხოლო დრევანდელი მარჯანიშვილის მოედნის მიმდებარედ მდგარი გერმანული ლუთერანული ეკლესია ააფეთქეს.



საბჭოთა ეპოქაში ყოფილი მიხელის, შემდგომ პლეხანოვის გამზირზე მრავლად აიგო ე.წ. „სტალინური” სტილის არქიტექტურის ნიმუშები, მათგან გამორჩეულია მარჯანიშვილის მოედნის ირგვლივ გაშენებული არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც ეკუთვნის ცნობილ ქართველ ხუროთმოძღვარ მ. მელიას.



2010-12 წწ. უკვე დ. აღმაშენებლის გამზირს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, რომელმაც ერთის მხრივ, გააუმჯობესა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ვიზუალი, მაგრამ ასევე მნიშვნელოვნად დაუკარგა მათ აუთენტურობა.



დ. აღმაშენებლის გამზირის განაშენიანების მნიშვნელოვანი თავისებურებაა, რომ ამპირული სტილის და საბჭოთა ეპოქის არქიტექტურის გარდა, მასში მცირე დოზით შემონახულია ძველი თბილისური (გერმანული) სახლების ნიმუშები, შეკიდული ხის აივნებითა და თაღოვანთავსართებიანი კარ-სარკმლებით.



ერთ-ერთი ასეთი რეაბილიტირებული შენობაა დ. აღმაშენებლის გამზ. №96, ამპირული სახლი დეკორატიული ფილებით გაწყობილი ფასადით, რომელიც გამოირჩევა გამზირის განაშენიანებაში თავისი მხატვრულ-არქიტექტურული კომპოზიციით.



დ. აღმაშენებლის გამზ. №96-ის პირველი სართული დიდი ზომის ხის ალათებით არის გაფორმებული, რომლებიც სხვადასხვა მაღაზიებს უკავიათ. შენობის სადარბაზო უჯრედი მის კიდეშია განთავსებული. მეორე სართულის ცენტრალურ ნაწილში შეკიდულია ჭედური ლითონის აივანი.



არსებული მდგომარეობით აღნიშნული სივრცე მრავალჯერ სახეცვლილია და აღარ შეიცავს კულტურული მემკვიდრეობისათვის მნიშვნელოვან მახასიათებლებს.





დასკვნა-რეკომენდაცია

ქ. თბილისის ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში დ. აღმაშენებლის გამზირის №96, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის პირველი სართულის ერთ-ერთი კომერციული ფართის რეაბილიტაცია, მასში მაღაზიის მოწყობის მიზნით, შესაბამისობაშია დ. აღმაშენებლის გამზირის აღნიშნული მონაკვეთის საზოგადოებრივ დანიშნულებასა და ტურისტულ აქტივობასთან. რეაბილიტაციის პროექტისათვის გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

- ძეგლის კომერციული ფართის შიდა სივრცეში არ არის შემონახული რაიმე მნიშვნელოვანი მემკვიდრეობითი მახასიათებლები, შესაბამისად, ინტერიერი შესაძლებელია მოეწყოს თანამედროვე კვალიფიციური დიზაინ-პროექტის მიხედვით;

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი